

შპს "გლობალ სერვისი" გსნ 204931850

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31
დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება-----	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია -----	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები-----	6
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა-----	7

„გლობალ სერვისი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	საანგარიშო პერიოდის დასაწყისი 01/01/2024	საანგარიშო პერიოდის დასასრული 01/01/2025
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	14706	666473
მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	775512	81133
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	83108	11290
წინასწარ გაწეული ხარჯები	128	128
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	99572	87070
სულ მიმდინარე აქტივები	973026	846094
გრძელვადიანი ფიქსირებული აქტივები		
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-
ქონება და სხვა ძირითადი საშუალებები	2156954	2284297
(მინუს დაგროვილი (კვეთა))	-607335	-702359
არამატერიალური აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	1549619	1581938
სხვა აქტივები		
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-
საგადასახადო მოთხოვნები	-	54169
სხვა დარიცხული მოთხოვნები	-	-
სულ სხვა აქტივები	-	54169
მთლიანი აქტივები	2522645	2482201
ვალდებულებები და კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები		
საკაპრო ვალდებულებები	96706	51679
მოკლევადიანი სესხები	449348	786
საგადასახადო ვალდებულებები	47582	-
გადასახდელი ხელფასები	-104	-
გადასახდელი პროცენტები, დივიდენდები	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	412425	385914
გადავადებული შემოსავა	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1005957	438379
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-
სხვა	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	1005957	438379
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	397000	397000
დაგროვილი მოგება	78375	605509
დაუფარავი ზარალი	-	-
რეზერვები და სხვა დაფინანსება	1041313	1041313
სულ კაპიტალი	1516688	2043822
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2522645	2482201

დირექტორი: თალიკო ალავერდამვილი



მოგება - ზარალის ანგარიშგება

	გასული 2023 წ.	საანგარიშო 2024 წ
ამონაგებ	-	6629502
რეალიზებული პროდუქციის, გაწეული მომსახურების თვითღირებულება	()	(5732723)
სარეალიზაციო მოგება ან ზარალი:	-	896779
სხვა საწარმოო შემოსავლები	-	1184
სულ საოპერაციო შემოსავლები :	-	897963
მიწოდების ხარჯები	()	()
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	()	(290215)
სხვა საწარმოო ხარჯები	()	(19918)
სულ საოპერაციო ხარჯები :	()	(310133)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან:	-	587830
მოგება ძირ. საშ. და არამატ. აქტივების რეალიზაციიდან	-	-
ზარალი ძირ. საშ. და არამატ. აქტივების რეალიზაციიდან	()	(15235)
ფინანსური შემოსავლები	-	-
ფინანსური დანახარჯები	()	(42817)
მოგება კაპიტალ-მეთოდით აღრ. მეკავშირე საწარმოებიდან	-	-
ზარალი კაპიტალ-მეთოდით აღრ. მეკავშირე საწარმოებიდან	()	()
მოგება კაპიტალ-მეთოდით აღრ. ერთობლივი საქმიანობიდან	-	-
ზარალი კაპიტალ-მეთოდით აღრ. ერთობლივი საქმიანობიდან	()	()
დადებითი საკურსო სხვაობები და სხვა გაუთვ. შემოსავლები	-	-
უარყოფითი საკურსო სხვაობები და სხვა გაუთვალ. ხარჯები	()	(701)
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე:	-	529077
მოგებიდან გადასახადი - % 1	()	(1865)
მოგება დაბეგვრის შემდეგ:	-	527212
უმცირესობის წილი	()	()
წმინდა მოგება ან ზარალი ჩვეულებრივი საქმიანობიდან:	-	527212
განსაკუთრებული შემოსავლები	-	-
განსაკუთრებული ხარჯები	()	()
საანგარიშო პერიოდის წმინდა	-	527212
მოგება ან ზარალი :		

დირექტორი: თალიკო ალავერდაშვილი



კომპანიის დასახელება გლობალ სერვისი	
ფულის მოძრაობის უწყისი	2024
ფული პერიოდის დასაწყისში	14706
შემოსავლები:	
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები ბანკი	7465177
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები სალარო	
ავანსი	385314
სულ შემოსული თანხები	7850491

გასავალი საქონლის შეძენაზე:	
შესყიდვები (პროდუქტი 1)	3047387.76
შესყიდვები (პროდუქტი 2)საწვავი	89825
შესყიდვები (პროდუქტი 3)	
სულ შესყიდვები	3137212.76
საოპერაციო ხარჯები:	
სახელოფასო ხარჯები	1126352
მოგების გადასახადი	1865
ქირა	12631
დღგ	634743
კომუნალური da komunikaciis ხარჯები	78222.2
საოფისე ხარჯები	7055.22
საბანკო მომსახურების ხარჯები	8625
დაზღვევა	6383
უიმედო ვალების ჩამოწერა	0
ქონების გადასახადი	44564
რემონტი	26058
სხვა ხარჯი	0
გადახდილი ავანსები	39170
საპენსიო	23100
სხვა კომპანიების მომს ხარჯი	1850271.86
სულ გაცემული თანხები	6996253.04
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	854237.96

ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:	
ძირითადი საშუალებების შეძენა	170417
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	10678
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	-159739

ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან	
სესხის მიღება	786
არასაოპერაციო ხარჯი	
გაცემული დივიდენდები	
სესხის პროცენტის დაფარვა	42817
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	-42031
ვალუტის ცვლილებით	-701
ფული პერიოდის ბოლოს	666472.96

დირექტორი. თალიკო ალავერდაშვილი 

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლობალ სერვისი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1999 წლის 6 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ (საბ.რეგ.ნომერი 5/4-2141, საიდენტიფიკაციო ნომრით 204931850).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2024 წლის 1 იანვარსა და 31 დეკემბერს კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნ.ნიკოლაძის 6-5.

2024 წლის 31 დეკემბერს კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის - თალიკო ალავერდაშვილი (პ/501008020282).

კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორია

- თალიკო ალავერდაშვილი.

2. ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე.

კომპანიამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სარეკომენდაციო მითითების საფუძველზე, 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2024 წლის მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და სხვა სრული შემოსავლების შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი მუხლები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის საანგარიშგებო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. საადრიცხო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით. საწარმოს საპროცენტო ვალდებულებები წარმოადგენდა კრედიტისთვის გადახდილ, ასევე საავანსო და შესრულების საბანკო გარანტიებისთვის გადახდილ პროცენტებს.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი

მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება სხვადასხვა წლიური განაკვეთები, კონკრეტული სასარგებლო ვადის გათვალისწინებით 2023 წელს კომპანიაში ჩატარდა გასვლითი საგადასახადო შემოწმება, რომლის ერთერთი შედეგი იყო კომპანიის კუთვნილი უძრავი ქონების გადაფასება. მისი ღირებულება გაიზარდა 1041313 ლარით. გაზრდილი ქონების გადასახადის ასახვა (გადახდაც) მოხდა შემდეგ წელს,

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 20 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და

როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო-აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). მოგების ახალი მოდელით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კომპანიებს საშუალება მიეცათ, 2017 წლამდე ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი ნაწილობრივ ჩაითვალოს მომდევნო პერიოდებში თუ ისინი მოგების სახით გაანაწილებენ 2017 წლამდე დაგროვილ მოგებას.

2024 წელი კომპანიამ დაასრულა მოგებით.

დირექტორი: თალიკო ალავერდაშვილი

